ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1743152

ნომერი: AR1287131

თარიღი : 17.02.2015

გაცემის თარიღი : 19.02.2015

გაცნობის თარიღი : 20.02.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ გელაშვილი პ/ნ 01002015616
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 11 ბ. 107

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, აბასთუმნის #1-ში, არსებული ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ერთ–ერთ მნიშვნელოვან ადგილზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს და ვინაიდან არსებული ფასადი გადატვირთულია სარეკლამო აბრებით, წარმოდგენილ ადგილზე სარეკლამო აბრის მოწყობა არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია. საჭიროა გამოიძებნოს სარეკლამო აბრის განთავსების სხვა, ალტერნატიული ადგილი, რისთვისაც შესაცვლელი იქნება საპროექტო დოკუმენტაცია.

გარდა ამისა საპროექტო ფართი წარმოადგენს შპს "მუხიანი"-ს საკუთრებას. შესაბამისად წარმოსადგენია შპს "მუხიანის" ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული თანხმობა, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის თანდართვით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.